პასუხისმგებლობა 1

შენი პასუხისმგებლობაა გარშემომყოფებს **ეთიკურად მოეპყრო**.

ბანკის თითოეული თანამშრომელი შენგან **ეთიკურ მოპყრობას** იმსახურებს, მიუხედავად მისი ასაკის, სქესის, კულტურის, ენის, რელიგიის ან სხვა მახასიათებლისა.

შენი პასუხისმგებლობაა ბანკის თანამშრომლის მხრიდან **ეთიკური მოპყრობა** მოითხოვო. თუ თვლი, რომ ბანკის თანამშრომელი უპატივცემულოდ გეპყრობა, აუცილებლად უნდა გამოხატო უკმაყოფილება, დააფიქსირო პრეტენზია, და მომავალში, სხვა ბანკთან ითანამშრომლო.

პასუხისმგებლობა 2

შენი პასუხისმგებლობაა **გაეცნო** იმ ფინანსური პროდუქტის ყველა პირობას, რომლის შეძენაც გსურს და ერთმანეთს **შეადარო** სხვადასხვა შემოთავაზება

ფინანსური პროდუქტის შეძენამდე ეწვიე რამდენიმე ბანკს, ერთმანეთს **შეადარე** სხვადასხვა პროდუქტი, და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღე გადაწყვეტილება.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ ფინანსური პროდუქტი (მაგ. ვადიანი დეპოზიტი) ერთი შეხედვით შენთვის შესაფერისად გამოიყურება, შენი პასუხისმგებლობაა **შეისწავლო** ამ პროდუქტის (და მისი ხელშეკრულების) **ყველა პირობა,** შეაფასო პროდუქტის ხარჯები და სარგებელი.

პროდუქტის შეძენამდე, დასვი რაც შეიძლება მეტი შეკითხვა პროდუქტის შესახებ. დარწმუნდი, რომ იღებ **სრულ და ადვილად გასაგებ ინფორმაციას**, რაც სწორი გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია! თუ ხელშეკრულების რომელიმე პუნქტი ან პროდუქტის რომელიმე პირობა შენთვის გაუგებარია, აუცილებლად **დასვი შეკითხვები**. ამასთან, აუცილებლად გაიარე კონსულტაცია მშობლებთან ან უფროს და–ძმასთან.

პასუხისმგებლობა 3

შენი პასუხისმგებლობაა **შეასრულო** შენს მიერ შეძენილი პროდუქტის ყველა პირობა.

როდესაც ხელს აწერ ხელშეკრულებას, შენ იღებ ვალდებულებას რომ **შეასრულო** ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა. ხელის მოწერამდე ხელშეკრულების ზოგადი ნიმუში შეგიძლია სახლში წაიღო, რათა შეძლო ყველა პირობის ყურადღებით შესწავლა, და მხოლოდ ამის შემდეგ შეგიძლია რაიმეს დათანხმდე.

სანამ პროდუქტს აირჩევ და ხელშეკრულებას ხელს მოაწერ, დარწმუნდი, რომ გესმის პროდუქტის ყველა პირობა, რადგანაც მომავალში, თუკი **არ შეასრულებ** რომელიმე პირობას, შესაძლოა დაკარგო სარგებელი, ან ბანკმა ჯარიმა დაგაკისროს!

პასუხისმგებლობა 4

შენი პასუხისმგებლობაა ბანკს მიაწოდო **ზუსტი და დროული** ინფორმაცია.

ბანკის შეკითხვებზე **ზუსტი და დროული პასუხების** გაცემა შენი პასუხისმგებლობაა. მაგალითად, თუ ბანკს დროულად არ აცნობებ, რომ დაკარგე საბანკო ბარათი, მაშინ ბანკი ვერ დაბლოკავს ბარათს, და შეიძლება ფული დაკარგო; ამასთან, თუ ბანკს არასწორ ტელეფონის ნომერს ჩააწერინებ, ბანკი ვერ შეძლებს დროულად დაგიკავშირდეს და ვერ მოგაწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას, რის შედეგადაც თავად დაზარალდები, და ა.შ.

შენგან მიღებული **გულწრფელი და დროული** შეფასება (მაგ. პრეტენზიის ფორმით) ბანკს დაეხმარება გააუმჯობესოს საკუთარი მომსახურება და აღმოფხვრას დარღვევები.

პასუხისმგებლობა 5

შენი პასუხისმგებლობაა **გაუფრთხილდე** პერსონალურ მონაცემებს

გარდა ბანკისა, თავადაც გეკისრება პასუხისმგებლობა **გაუფრთხილდე პერსონალურ მონაცემებს!** არ გაანდო მეგობრებს შენი საბანკო ბარათის მონაცემები; არ გაანდო უცნობებს შენი პირადი ნომერი, სახელი და გვარი; საბანკო ბარათი და პირადობის დამადასტურებელი მოწმობა კარგად შეინახე საფულეში ან სახლში და ა.შ.